

მრავლობითი და მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა კომუნიკაციის უნარის შეფასება

ნინო თეთვაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

მარიამ მიქიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2024

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადაუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ მოსწავლეს, მათ მშობლებს და რესურს სკოლის თანამშრომლებს, გაწეული დახმარებისთვის და კვლევის მიმართ მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის.

მადლობა თანაკურსელებს ემოციური მხარდაჭერისთვის, მოტივაციისთვის და თანადგომისთვის.

სარჩევი

აბსტრაქტი	4
Abstract	6
შესავალი	8
ლიტერატურის მიმოხილვა	9
<i>ჰაპტური ალქმის როლი MDVI-ის მეორე ბავშვებისთვის</i>	16
<i>თამაში და თამაშის როლი</i>	17
<i>კომუნიკაციის განვითარება და მე-ცნობიერება</i>	18
კვლევის მეთოდი.....	28
<i>კვლევის მონაწილეები და გარემო</i>	28
<i>კვლევის ინსტრუმენტები</i>	28
<i>კვლევის პროცესი</i>	33
კვლევის შედეგები.....	35
<i>კვლევის მონაწილე „ვ“</i>	35
<i>კვლევის მონაწილე „ა“</i>	38
<i>კვლევის მონაწილე „მ“</i>	41
დისკუსია	43
კვლევის ღირებულება და შეზღუდვები	45
გამოყენებული ლიტერატურა:.....	47

აბსტრაქტი

ცნობილია, რომ მრავლობით და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები (MDVI) განვითარების მრავალ სფეროში ბევრად უკან არიან თანატოლებთან შედარებით. მათი შეზღუდული შესაძლებლობების რაოდენობისა და კომბინაციების გამო. კომუნიკაციური უნარები ფუნდამენტურია მათთვის სოციალური, შემეცნებითი და ემოციური უნარების განვითარებისათვის, რაც ხელს უწყობს უფრო მეტ დამოუკიდებლობას და თვითდახმარებას. MDVI-ის მქონე ბავშვების უმეტესობა ავლენს თავისებურ კომუნიკაციურ ქცევას, როდესაც ისინი ურთიერთობენ გარემოსთან, რჩებიან პრევერბალური კომუნიკაციის დონეზე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, მათმა უმრავლესობა შეიძლება საერთოდ ვერ შეიძინოს ვერბალური კომუნიკაციის უნარები.

ამრიგად, ძალიან მნიშვნელოვანია MDVI-ის მქონე ბავშვების უნიკალური, ინდივიდუალური კომუნიკაციური ქცევის ამოცნობა, რათა ხელი შეუწყოს მათ კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას. კვლევები აჩვენებს, რომ თუ ოჯახები და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები მოახდენენ MDVI-ის მქონე ბავშვების კომუნიკაციურ ქცევის იდენტიფიკაციას, შესაძლებელი ხდება მორგებული ინტერვენციის სტრატეგიების შემუშავება. თუმცა, სანამ ვასწავლით სათანადო კომუნიკაციის უნარებს და გავაუმჯობესებთ კომუნიკაციურ ქცევებს, აუცილებელია პრევერბალური კომუნიკაციის შეფასება შესაბამისი შეფასების მეთოდებით.

Erasmus+ პროექტმა სახელწოდებით „ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა მრავლობითი და მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის“ (PrECIVIM), <https://precivim.databank.com.gr/index.php> თავი მოუყარა კომუნიკაციის შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებსაც MDVI-ის მქონე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში.

ჩვენი მიზანია, შევარჩიოთ მრავლობითი და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების კომუნიკაციის უნარის შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც ქართულ რიალობაში ფუნქციურად იქნება გამოყენებული, მოგვცემს სრულ სურათს სხვადასხვა გარემოში MDVI-ის მქონე ბავშვების მიერ გამოყენებულ საკომუნიკაციო ქცევებზე.

კვლევაში გამოყენებული იქნა სტანდარტიზებული ინსტრუმენტები, ოჯახის წევრების კითხვარი (HomeTalk, Columbia University), საკომუნიკაციო მატრიცა და ბავშვების შეფასება ვან დაიკის ჩარჩოს გამოყენებით. ინსტრუმენტების გამოყენებით მოვახდინეთ სამი შემთხვევის ანალიზი. ეს არის წინასწარი კვლევა, რომელიც იმედს ვიტოვებთ მოგვცემს შესაძლებლობას მისი განზოგადების MDVI-ის მქონე ქართველი ბავშვების პოპულაციაში.

სამიუბო სიტყვები: მრავლობითი და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები (MDVI), საკომუნიკაციო უნარები, შეფასება, რუტინა.

Abstract

It is well-known that children with multiple disabilities and visual impairment (MDVI) are significantly behind their peers in various developmental areas due to the number and combination of their disabilities. Communication skills are fundamental for these children to develop social, cognitive, and emotional skills, which foster greater independence and self-help abilities. Most children with MDVI exhibit unique, peculiar communicative behaviors when interacting with their environment and remain at a pre-verbal communication level for a prolonged period; most of them may never acquire verbal communication skills.

Therefore, it is very important to recognize the unique, individual communication behavior of children with MDVI in order to help improve their communication skills. Research shows that if families and child professionals identify the communication behaviors of children with MDVI, tailored intervention strategies can be developed. However, before teaching appropriate communication skills and improving communicative behaviors, it is necessary to assess preverbal communication with appropriate assessment methods.

The Erasmus+ project entitled "Promoting Effective Communication for People with Multiple and Visual Impairments" (PrECIVIM) <https://precivim.databank.com.gr/index.php> gathered communication assessment tools used by specialists working with children with MDVI in different countries.

Our goal is to select multiple and visually impaired communication skills assessment tools that will be functionally used in Georgian society, giving us a complete picture of the communication behaviors used by children with MDVI in different environments. The standardized instruments used in the study were the Children's Questionnaire (HomeTalk), the Communication Matrix and the assessment of children using the Van Dijk Framework. We used the tools to analyze three

cases. This is a preliminary study that we hope to generalize about MDVI in the population of Georgian children.

Keywords: Children with vision impairment and multiple disabilities (MDVI), communication skills, assessment, routine.